

საქართველოს კანონი

„ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო
ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო
ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის
პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) „საჯარო სამსახურის კოდექსის“ 105-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით
განსაზღვრულ თანამდებობის პირებზე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო
კოდექსის 44-ე მუხლის 47-ე ნაწილით განსაზღვრულ საჯარო სამართლის იურიდიული
პირის ხელმძღვანელებზე და მათ მოადგილეებზე, იმ პირებზე, რომლებსაც 1997 წლის 17
ოქტომბრიდან ჰქონდათ ხელმძღვანელობითი ან/და წარმომადგენლობითი
უფლებამოსილება იმ საწარმოში, რომლის საწესდებო კაპიტალი აღემატება
(აღემატებოდა) 1 მილიონ ლარს და რომელშიც სახელმწიფო პირდაპირ ან არაპირდაპირ
ფლობს (ფლობდა) წილის (აქციათა) 50%-ს ან 50%-ზე მეტს, და იმავე მუხლის 21-ე, 21¹ და
21² ნაწილებით განსაზღვრულ ახლო ნათესავებზე, ოჯახის წევრებზე და დაკავშირებულ
პირებზე.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან.